

შპს იმედი

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება

თბილისი 2023 წელი

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს „იმედი“ ს/ნ 400053749 (შემდგომში - საზოგადოება).

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია- 2012 წლის 6 ივლისი; დღგ-ს გადამხდელია 2012 წლის 6 ივლისიდან.

საზოგადოების იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, გლდანი-ნამალაძევის რაიონი, ა.სუმბათაშვილ-იუჟინის ქ.#60 ფაქტობრივი მისამართი - ქ. თბილისი, ევგენი ხარაძის ქ.#6

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

1. მამუკა კოპაძე	3/5	01020004567	-50%
2. იმედა აფციაური	3/5	01019009982	-50%

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია - მამუკა კოპაძე. თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 10 კაცს;

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს: სატვირთო გადაზიდვებს სატვირთო საგზაო ტრანსპორტით; სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოებს და სხვა.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2022 წლის 31 დეკემბერი, ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი - 2022 წელი.

ზოგადი დებულებები

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების ამოცანაა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია:

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად; დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

საქმიანობის უწყვეტობა

წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია, ასე რომ მოიქცეს. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განაგრძონ და გააფაროვნონ საზოგადოების მუშაობა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების საშედეგო ცხრილები და წინასაანგარიშგებო 2020-2021 წლების შესადარისი მაჩვენებლები.

კერძოდ:

- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ცხრილი;

შპს იმედი		
საქმიანობის შედეგები (საანგარიშგებო პერიოდი - 2022 წელი) ლარი		
შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	საანგარიშგებოს წინა პერიოდის ბოლო თარიღი 2021
ამონაგები	2507649	2139928
მომსახურებიდან	1207603	1178810
ბეტონის რეალიზაცია	1147564	957063
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1032139	854111
საერთო მოგება	1475510	1285817
საწვავის ხარჯი	499521	401611
პერსონალის ხარჯები	204726	239594
სესხის პროცენტი	40346	24341
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და მანქანის რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	16528	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	3643	5234
ოჯარის ხარჯი	30508	30508
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	76083	59226
დაზღვევა	3794	3280
ცვეთა და ამორტიზაცია	127522	132802
ქონების გადასახადი	7579	9097
დამატებული ხარჯი (რემონტი და სამეურნეო ხარჯი)	182920	198189
საოპერაციო ხარჯები, პროდუქციის თვითღირებულების გარეშე	1193170	1103884
საოპერაციო მოგება	129858	181933
წმინდა შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან (ავტომანქანის რეალიზაცია)		4015
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	152482	40
მიღებული დივიდენდი	84210	42105
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადის ხარჯი	14861	7430
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	183269	132398

შპს იმედი			
ფინანსური მდგომარეობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2022 წელი)			ლარი
შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2022	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2021	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2020
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1025376	794119	495444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	57630	54341	65617
მარაგები	6822	3668	1210
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები		414	663
ძირითადი საშუალებები	694349	941033	1069774
სულ აქტივები	1784177	1793575	1632708
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	158123	90179	37925
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	34649	34649	56577
საგადასახადო ვალდებულებები	27290	43667	20510
სხვა ვალდებულებები			1615
ბანკის სესხი	472579	716813	740212
სულ ვალდებულებები	692641	885308	856839
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	908267	775869	524575
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	183269	132398	251294
გადაფასების რეზერვი			
სულ საკუთარი კაპიტალი	1091536	908267	775869
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1784177	1793575	1632708

შპს იმედი

ფულადი სახსრების მოძრაობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2022 წელი) ლარი

შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2022	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2021
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2235167	2139928
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2057320	1841253
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	177847	298675
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		2947
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	152482	
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების გაცემა კაპიტალის შემცირების ხარჯზე	99072	49535
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	231257	298675
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	794119	495444
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1025376	794119

განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი. ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

აქტივები

აქტივების მოცულობა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფიქსირდა 1784177 ლარის დონეზე, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 82039 ლარით.

სალაროში ნაღდი ფულის ნაშთი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 231257 ანუ 29,1 %- ით. საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების წყაროა საქონლის რეალიზაცია და მომსახურება.

სამეურნეო ოპერაციებს საზოგადოება ახდენს ქვეყნის შიგნით, ამის გამო, მოთხოვნებისა და ვალდებულებების მომსახურების პროცესში, საზოგადოება არ სარგებლობს უცხოურ ვალუტაში ოპერაციებით. ამასთან, საზოგადოებას სესხები ბანკებიდან აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში და ვალუტების კურსების ცვლილება ლართან მიმართებაში, გავლენას ახდენს მის საფინანსო მდგომარეობაზე.

უცხოური ვალუტის გადაფასებიდან 2022 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 152482 ლარი.

საზოგადოების აქტივების ძირითადი მუხლის - ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასება საზოგადოებაში არ განხორციელებულა.

აქტივის თვითღირებულებაა გარიგების ფასი აქტივის შესყიდვის დროს (გადახდილი თანხა). თვითღირებულება მოიცავს ასევე ამ აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. აღიარება ხდება შესყიდვის დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ანგარიში ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება

საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების ნარჩენ საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 694349 ლარი.

ვალდებულებები

საზოგადოებას აქვს ვალდებულებები წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. ასეთი ვალდებულებები (კრედიტორული) მოცემულია ხარჯის სახით, რაც წარმოადგენს მიღებული სერვისის ან პროდუქციის ასანაზღაურებელ თანხას.

კრედიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადაც ერთ წელზე მეტია, აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მოცულობამ საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის შეადგინა 472579 ლარი და წინა წელთან შედარებით შემცირდა 34,1%-ით, ანუ 244234 ლარით. სავაჭრო ვალდებულებების მოცულობამ 158123 ლარი შეადგინა.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1091536 ლარს, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემს აღემატება 183269 ლარით, 20,2 %-ით. საანგარიშგებო წელს საზოგადოების დამფუძნებლებზე გაიცა დივიდენდი, 84211 ლარი.

ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებში.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს იმედი-ს მიერ ფორმირებული 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და წარსადგენად ნებადართულია, საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების 2023 წლის 18 სექტემბრის საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილებით.

საზოგადოების 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების დასასრული

შპს იმედი-ს
ხელმძღვანელი:



მამუკა კოპაძე